



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველოს ეკონომიკა –
ოპტიმიზიდან პრიმიტივიზმამდე

ვლადიმერ ჰაპავა

75

ეკსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ვლადიმერ პაპავა

**საქართველოს ეკონომიკა –
ოპტიმიზმიდან პრიმიტივიზმამდე**

75

2017



პუბლიკაცია დაიბეჭდა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-9766-9

შესავალი

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა ცხადყო, რომ მომდევნო (ისევე, როგორც წინა) ოთხი წელი „განწირულია“ სახელისუფლებო პარტიის – „ქართული ოცნების“ (ამჟამად უკვე საკონსტიტუციო უმრავლესობით) და ყოფილი სახელისუფლებო, ნაწილობრივ სახელშეცვლილი, პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (კვლავ საპარლამენტო უმცირესობით) დაპირისპირებისათვის. პარლამენტში მოხვედრილი მესამე პარტიის – „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მცირერიცხოვან ფრაქციას კი საპარლამენტო გადანყვეტილებებზე რაიმე ზეგავლენა ვერ ექნება.

მოქმედი და ყოფილი სახელისუფლებო პარტიების საპარლამენტო დაპირისპირება ჯერ კიდევ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო.

2012 წლის ამ არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი ელოდა, რომ საქართველოში დაიწყებოდა სამართლიანობის აღდგენის შეუქცევადი პროცესი, ანუ ის, რისთვისაც ამომრჩეველმა ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა. სამწუხაროდ, ყველასათვის მოულოდნელად, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ამ არჩევნების შემდეგ ქვეყანაში უნდა დაწყებულიყო კოჰაბიტაციის პროცესი, ანუ არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნების“ და დამარცხებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თანაარსებობა¹. ეს არ ყოფილა ქართული საზოგადოების უმრავლესობის დაკვეთა. კოჰაბიტაცია დასავლეთის, აშშ-ისა და ევროკავშირის ინიციატივა იყო².

თავის მხრივ, კოჰაბიტაციით აიხსნა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებში „ქართული ოცნების“ მთავრობას საკადრო ცვლილებები არ გაუტარებია, რის შედეგადაც 2016 წლისათვის კოჰაბიტაცია, როგორც ასეთი, დასრულდა და მის ნაცვლად სახეზეა ორი, ერთი შეხედვით განსხვავებული იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური ძალის – „ქართულ ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ – სახელისუფლებო ინტეგრაცია, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ ამ უკანასკნელი პარტიის იდეური მიმდევრები მრავლად არიან წარმოდგენილი სამინისტროების და უწყებების აპარატებში, რომ არაფერი ვთქვათ ზედა სამთავრობო ეშელონებსა და პარლამენტის საკონსტიტუციო უმრავლესობაზე.

2012 და 2016 წლების წინასაარჩევნო პერიოდებში „ქართულმა ოცნებამ“ არაერთი დაპირება მისცა თავის ამომრჩეველს, განსაკუთრებულ ყურადღებას მათ შორის ეკონომიკური ხასიათის დაპირებები იმსახურებდა, თუმცა მათი შესრულება ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო ვერ (ან ჯერჯერობით ვერ) მოხერხდა.

„ქართული ოცნების“ მთავრობის ეკონომიკური ხედვა და მის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ და პირობითად ვუწოდოთ „ეკონომიკური ოპტიმიზმი“ და „ეკონომიკური პრიმიტივიზმი“. განვიხილოთ თითოეული მათგანის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები.

ეკონომიკური ოპტიმიზმი

ოცნება, როგორც ასეთი, ოპტიმიზმს ეფუძნება, როცა მეოცნებე პოზიტიურად ფიქრობს თავისი მომავლის შესახებ. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი „ქართული ოცნების“ სახელის მქონე პოლიტიკურ პარტიას თავიდანვე ოპტიმისტური განწყობით შეხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე არაერთი წელია, რაც ეკონომიკური ოპტიმიზმის ინდექსი გაიანგარიშება³, სამწუხაროდ, ეკონომიკური ოპტიმიზმის თეორიული საფუძვლები, ჯერჯერობით შექმნილი არ არის⁴ და ის უმთავრესად სოციოლოგიური კვლევის საგანს წარმოადგენს⁵.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ხაზგასმას, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობამ, ეკონომიკური ზრდის შენელების მიუხედავად⁶, თავიდანვე ოპტიმისტური ხასიათის ნაბიჯები გადადგა.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება. 2012 წლის ბოლოდან ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნება“ არაერთი გამონგვევის წინაშე დადგა⁷, რომელთა შორისაც ერთ-ერთი უმთავრესი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მიღწევა იყო. ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაა (DCFTA)⁸. „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობისათვის განვითარების ევროპული გზა, სამწუხაროდ, უმთავრესად არტიკულაციით შემოიფარგლებოდა, ხოლო რეალური ქმედებით ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ საქართველო არ დაახლოებოდა ევროკავშირს⁹. რეალურად ქვეყანას კურსი სინგაპურიზაციისაკენ ჰქონდა აღებული¹⁰.

„ქართული ოცნების“ მთავრობამ შეძლო ის, რომ საქართველომ 2014 წლის ივნისში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი¹¹, რომელიც 2016 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების ამოქმედება „ქართული ოცნების“ მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვან პოზიტიურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. მან, თავის მხრივ, საქართველოს მოქალაქეთა დიდ ნაწილში ეკონომიკური ოპტიმიზმის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

ბიზნესზე მთავრობის არაფორმალური ზეწოლის გაუქმება.

ეკონომიკური ოპტიმიზმის საფუძველს ქმნიდა „ქართული ოცნების“ დანაპირები, რომ აღმოიფხვრებოდა სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესზე არაფორმალური ზეწოლის მავნე პრაქტიკა, რაც ნაციონალებისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო¹². შეიძლება ითქვას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ეს დანაპირები¹³ მთლიანად შეასრულა.

„საქართველო 2020“. „ქართული ოცნების“ მთავრობის ეკონომიკური ოპტიმიზმის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 2014 წელს ამ მთავრობისვე დამტკიცებული „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“¹⁴ (მოკლედ – „საქართველო 2020“).

„საქართველო 2020-ის“ თანახმად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს უნდა ემყარებოდეს, რომელთაგან პირველი ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა; მეორე პრინციპი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში მდგომარეობს; მესამე პრინციპი კი ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება¹⁵.

ამ დოკუმენტის თანახმად, საქართველოს მთავრობას აქცენტი უნდა გაეკეთებინა ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნაზე, რაც, რა თქმა უნდა, დიდი იმედის მომცემი იყო. ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ დანყებას¹⁶.

საქართველოს მთავრობის დადგენილებაში, რომლითაც დამტკიცდა „საქართველო 2020“, სამინისტროებს და სხვა სამთავრობო უწყებებს მიეცათ დავალება, რომ ყოველი წლის 30 ივნისამდე „საქართველო 2020-დან“ გამომდინარე შეიმუშაონ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები¹⁷. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის ეს დავალება არ შესრულებულა, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ხსენებულ დოკუმენტში, „საქართველო 2020-ში“, დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების შესაძლებლობა.

ეკონომიკური პრიმიტივიზმი

როგორც ცნობილია, სიტყვა „ოპტიმიზმის“ ანტონიმი არის „პესიმიზმი“ და არა – „პრიმიტივიზმი“. უფრო მეტიც, პრიმიტიულობა, როგორც რთული საკითხის მიმართ გამარტივებული მიდგომა, სულაც არ გამორიცხავს ოპტიმიზმს.

ეკონომიკური პრიმიტივიზმის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი არსებობს, რომელთა შორის საყურადღებოა გამოკვლევები ეკონომიკური ანთროპოლოგიის¹⁸, ანარქოპრიმიტივიზმის¹⁹ და ლიბერტარიანიზმის²⁰ კუთხით. ეკონომიკური პრიმიტივიზმის ქართულ ვერსიას კი სრულებით განსხვავებული საფუძველი აქვს. კერძოდ, თანამედროვე საქართველოში ეკონომიკური პრიმიტივიზმით გამოწვეული თუ ამ პრივიტივიზმის თანამდევი ოპტიმიზმი უმთავრესად იმ ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი, ვისაც ეკონომიკური მეცნიერების საკმარისი ცოდნა არ აქვთ.

„მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა“. ეკონომიკური პრიმიტივიზმის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში გიორგი კვირიკაშვილის მიერ ინიცირებული „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა“. ეს გეგმა მან პირველად ბიზნესმენებს 2016 წლის დასაწყისში გააცნო²¹, თუმცა თავად დოკუმენტი წერილობითი სახით მაშინ არ არსებობდა. საინტერესოა, რომ მსჯელობა ამ გეგმის შესახებ თვეების მანძილზე ისე მიმდინარეობდა, რომ თავად გეგმა დაწერილი არც კი ყოფილა. სამწუხაროდ, გაგრძელდა საქართველოში ნაციონალური მოძრაობის მთავრობის დამკვიდრებული მახინჯი ტრადიცია – არარსებული დოკუმენტების საჯარო პრეზენტაცია. კერძოდ, როგორც პირველი ასეთი საჯარო პრეზენტაციის უშუალო დამსწრე ვადასტურებ, რომ ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულში იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა წარმოად-

გინა ახალი, თუმცა პრეზენტაციის დროისათვის ჯერ არდანერული საგადასახადო კოდექსი²².

„მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა“, წერილობითი სახით, პირველად 2016 წლის შემოდგომის საპარლამენტო არჩევნებისათვის პარტია „ქართული ოცნების“ მომზადებული წინასაარჩევნო პროგრამის – „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ – ბოლოში გამოჩნდა²³. მოგვიანებით კი, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნების“ მთავრობის იმავე სახელწოდების მქონე სამთავრობო პროგრამაშიც შევიდა²⁴.

„მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის“ პუნქტებია: 1. ეკონომიკური რეფორმა; 2. განათლების რეფორმა; 3. სივრცითი მონყობა; 4. მმართველობის რეფორმა.

პუნქტი 1-ის ქვაკუთხედს წარმოადგენს ბიზნესის გათავისუფლება მოგების გადასახადისაგან, მოგების რეინვესტირების შემთხვევაში.

პუნქტი 2-ის მიხედვით, პროფესიული განათლების სისტემაში ორიენტაცია უნდა აიღოს სწავლების დუალურ, ანუ სამუშაოზე დაფუძნებულ მიდგომაზე, რომლის თანახმადაც, სასწავლებელი და პოტენციური დამსაქმებელი ერთობლივად განახორციელებენ სასწავლო პროგრამებს; საუნივერსიტეტო განათლება კი ორიენტირებული იქნება ეკონომიკის ფაქტობრივ საჭიროებებზე, რაც უნდა გამოვლინდეს შრომის ბაზრის ანალიზის გზით.

პუნქტი 3-ის თანახმად, ქვეყნის სივრცითმა მონყობამ ხელი უნდა შეუწყოს ქალაქებისა და სოფლების გააზრებულ განაშენიანებას, რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელის განვითარებას, რომლის საბოლოო მიზანია საქართველო გახდეს ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა.

პუნქტი 4 კი გულისხმობს მმართველობის ეფექტიანობის გაზრდას.

ეკონომიკის დიდი ცოდნა არ არის საჭირო იმისთვის, რომ დაინახო სხვაობა ზემოხსენებულ „საქართველო 2020-სა“ და „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმას“ შორის: მეტ-ნაკლებად სრულყოფილი, ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგია დაყვანილია 4 ფრაგმენტულ პუნქტზე.

მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა“ ხელს შეუწყობს საქართველოში არამწარმოებლური და იმავდროულად მომხმარებლური ეკონომიკის მოდელის²⁵ შენარჩუნ-

ნება-განმტკიცებას. სამწუხაროდ, ეკონომიკის რეალური სექტორის განუვითარებლობის გამო ქვეყანა უფრო მეტს მოიხმარს, ვიდრე თავად აწარმოებს, რის შედეგადაც წლების განმავლობაში იმპორტი ექსპორტს საშუალოდ 3-4-ჯერ აღემატება, ხოლო სამომხმარებლო კალათაში (ისევე, როგორც სასურსათო კალათაში) იმპორტული პროდუქცია საშუალოდ 80%-ის დონეზეა.

ამ ვითარებაში, „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის“ პირველი პუნქტი გააძლიერებს საქართველოში არსებულ ფირმებს, რომელთა უმრავლესობაც დამახასიათებელია არამწარმოებლური და იმავდროულად მომხმარებლური ეკონომიკისათვის. „ესტონური მოდელის“ სახელით ცნობილი სისტემა, როცა მოგების გადასახადით რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება ფინანსური სექტორის (კომერციულ ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო ორგანიზაციები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები) გარდა, საქართველოში ძალაში შევიდა 2017 წლიდან, ხოლო ფინანსური სექტორზე გავრცელდება 2019 წლიდან²⁶. გაუგებარია, თუ რატომ უნდა მიეცეს საგადასახადო შეღავათი მოგების რეინვესტირებისათვის რესტორნებსა და სასტუმროებს, რომ არაფერი ვთქვათ ფინანსურ სექტორზე: ისინი ხომ ამ შეღავათის გარეშეც მრავლადაა საქართველოს ეკონომიკაში. უმჯობესი იყო ეს საგადასახადო შეღავათი მისცემოდა რეალური სექტორის მხოლოდ იმ ფირმებს, რომლებიც ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით მოახდენდნენ მოგების რეინვესტირებას. ამ ტიპის ფირმების უკიდურესი სიმწირის გათვალისწინებით, მოგების გადასახადის ხსენებული ესტონური მოდელი ხელს შეუწყობს საქართველოში ისევ და ისევ ეკონომიკის მომხმარებლური სტრუქტურის გამყარებას და არანაირ სტიმულს არ მისცემს თითქმის არარსებულ ინოვაციურ რეალურ სექტორს.

საყურადღებოა, რომ ხსენებული ესტონური მოდელი არანაირ შეღავათს არ აძლევს საშუალო და მცირე ბიზნესს, ხოლო მსხვილ ბიზნესში გაართულებს ადმინისტრირებას, რადგანაც მწარმეებს უკვე ყოველთვის ურად ექნებათ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საგადასახადო დეკლარაციები წარსადგენი²⁷.

აქ ერთი მომენტიცაა გასახსენებელი: არათუ მხოლოდ ერთი სახეობის საგადასახადო შეღავათი, არამედ ერთად აღებული თითქმის ყველა საგადასახადო და ყველანაირი სხვა შესაძლო შეღავათიც, რომელიც გამოიყენება თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში,

სულაც არ არის საკმარისი ეკონომიკის თუნდაც მოცემულ ზონაში წარმატებული განვითარებისათვის, რასაც, სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, თავად საქართველოს გამოცდილებაც ადასტურებს²⁸.

იმავე შინაარსობრივი დატვირთვისაა „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის“ მეორე პუნქტიც. ისევ და ისევ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში თითქმის არ არის ინოვაციური ეკონომიკის რეალური სექტორი, პროფესიული განათლების სისტემის ორიენტაცია მხოლოდ სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების მიდგომაზე, ხოლო საუნივერსიტეტო განათლების ორიენტაცია – მხოლოდ ეკონომიკის ფაქტობრივ საჭიროებებზე არც არასდროს უზრუნველყოფს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისათვის შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას²⁹. მაშასადამე, პროფესიული და საუნივერსიტეტო განათლების ორიენტაცია ეკონომიკის მხოლოდ მიმდინარე და არა პერსპექტიულ საჭიროებებზე ხელს შეუწყობს ეკონომიკის საქართველოს მომხმარებლური სტრუქტურის განმტკიცებას.

„მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის“ მესამე პუნქტის მიხედვით, ქვეყნის სივრცითმა მონყობამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ საქართველო გახდეს ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა. საყურადღებოა, რომ საქართველოს ეკონომიკისათვის ტურიზმის პრიორიტეტულობის საკითხი აქტუალური იყო როგორც ნაციონალური მოძრაობის³⁰, ისე „ქართული ოცნების“³¹ მთავრობებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სამომხმარებლო და სასურსათო კალათებში იმპორტულ საქონელს 80% უკავია, ქვეყანაში ჩამოსული ტურისტებისათვის, როგორც დამატებითი მომხმარებლებისთვის, უნდა განხორციელდეს დამატებითი იმპორტი, რადგან საქართველო აწარმოებს მოხმარებული სურსათის მხოლოდ 20%-ს და, სამწუხაროდ, საერთოდ არ აწარმოებს ტურისტების ქვეყნის შიგნით გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებებსა და საწვავს. ამიტომ მთავრობის ზრუნვა მხოლოდ და მხოლოდ ტურიზმის განვითარებაზე ნამდვილად არ უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკის მრავალფეროვან განვითარებას და არ აძლიერებს მომხმარებლური ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს.

„მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის“ მეოთხე პუნქტის შესახებ ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

აშკარაა, რომ „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის“ პირველი სამი პუნქტი ეწინააღმდეგება ქვეყნის ინოვაციური განვითარების სტრატეგიას და, ამდენად, ზემოხსენებულ „საქართველო 2020-საც“. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა“ ეკონომიკური მეცნიერების უგულვებელყოფით განპირობებული ეკონომიკური პრიმიტივიზმის თვალსაჩინო ნიმუშია.

ამ ფონზე გაოცებას იწვევს, რომ მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა მოიწონა „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა“,³² თუმცა ეს სულაც არ უნდა აღვიქვათ მოულოდნელად, თუკი გავიხსენებთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოში შეგნებულად თუ შეუგნებლად ადრეც დაშვებულ შეცდომებს³³.

სახელმწიფო ბიუჯეტში გარღვევის დაბალანსება. თავიდანვე ნათელი იყო, რომ მოგების გადასახადის ზემოხსენებულ ესტონურ მოდელზე გადასვლა სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვან კლებას გამოიწვევდა³⁴. იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წელი საპარლამენტო არჩევნების წელი იყო, მთავრობამ ამ ღონისძიების გატარება 2017 წლისათვის გადადო.

რადგანაც მოგების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები აკლდება სახელმწიფო ბიუჯეტს, ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა აქციზის გადასახადების და სათამაშო ბიზნესში მოსაკრებლების გაზრდა³⁵. თუ ამ უკანასკნელის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ როგორც ეკონომისტებს, ისე მთლიანად საზოგადოებას, აქციზის გადასახადების ზრდა სერიოზულ კითხვებს აჩენს. კერძოდ, აქციზი თამბაქოს ნაწარმზე 2017 წლიდან გაიზარდა: ფილტრიან სიგარეტზე – თითქმის 1,9-ჯერ, ხოლო უფილტროზე – 2-ჯერ, რაც აჩენს კითხვას: ხომ არ შეუწყობს ეს ხელს თამბაქოს ბიზნესის თუნდაც ნაწილის ჩრდილოვან სექტორში გადასვლას?

2017 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა აქციზი სანვავზე: ბენზინზე – 2-ჯერ, დიზელზე – თითქმის 2,7-ჯერ, ხოლო საავტომობილო გაზზე – 2,5-ჯერ. ბუნებრივია, სანვავზე ფასის ზრდა უარყოფითად აისახება როგორც მთლიანად ეკონომიკაზე, ისე მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი გაიზარდა უმთავრესად 6 წლისა და უფრო ხანდაზმული მანქანების იმპორტისას. ამგვარი მიდგომა მიმართულია ხელი შეუწყოს ქვეყანაში არსებული მოძველებული ავტოპარკის თანდათანობით განახლებას.

იბადება ლოგიკური კითხვა: მოგების გადასახადის ეს-ტონური მოდელის გამოყენების შედეგად საგადასახადო შემოსავლების კლების კომპენსირება რატომ ხდება მხოლოდ აქციზის გადასახადების ზრდის ხარჯზე, რატომ არ შეეხო მთავრობა სხვა სახის გადასახადებს?

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის მთავრობის მმართველობისას კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, გარდა აქციზის გადასახადისა, ნებისმიერი სხვა სახის გადასახადის განაკვეთის ზრდა ან ახალი სახეობის გადასახადის შემოღება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რეფერენდუმის გზით³⁶. საგადასახადო პოლიტიკის რეგულირება რეფერენდუმით აშკარად გაუმართლებელია, რადგანაც რეფერენდუმში ყოველგვარ აზრსაა მოკლებული: წინასწარ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ აბსოლუტური უმრავლესობით ყველა, ვინც რეფერენდუმში მიიღებს მონაწილეობას, მოქმედი გადასახადების განაკვეთის ზრდის ან ახალი სახეობის გადასახადის შემოღების წინააღმდეგი იქნება. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა, რომლებმაც 2017 წლისათვის გადანყვიტეს მოქმედი კონსტიტუციის გადასინჯვა³⁷, ჯერჯერობით არ აპირებენ საგადასახადო პოლიტიკის რეფერენდუმის – ამ პოპულისტური გზით რეგულაციის გაუქმებას...

იმის გათვალისწინებით, რომ აქციზის გადასახადების ზრდა არაპოპულარულია, მთავრობამ 2017 წლის ბიუჯეტით აიღო საბიუჯეტო ხარჯების შემცირების ვალდებულება. კერძოდ, საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობაში 10%-ით შემცირდება შრომის ანაზღაურების ფონდი და ასევე 10%-ით დაიკლებს ადმინისტრაციული ხარჯები³⁸. მთავრობა ამ ნაბიჯს ასევე უკავშირებს ზემოხსენებული „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის“ პუნქტ 4-ს, რომლის მიზანიც არის მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა. სამწუხაროდ, მთავრობას არ აქვს ბოლომდე გააზრებული, თუ რას ნიშნავს „მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა“, ხოლო ამ კონტექსტში სახელმწიფო ადმინისტრაციის ხსენებული 10-პროცენტის შემცირება საკითხისადმი გამარტივებული მიდგომაა, რადგანაც მარტო მთავრობის ზომის შემცირებით მისი ეფექტიანობის ზრდა სულაც არ არის გარანტირებული³⁹.

სამწუხაროა, რომ მთავრობა არც იმას ითვალისწინებს, რომ თუნდაც სანვავის გაძვირების გზით ინფლაციის სტიმულირების პირობებში საბიუჯეტო ორგანიზაციებში შემცირება კიდევ უფრო

გაართულებს ქვეყანაში სოციალურ მდგომარეობას, რაც პოლიტიკურად არანაირად არ უნდა შედიოდეს გონიერი მთავრობის ინტერესში.

იპოთეკური სესხების გალარების პროგრამა. 2014 წლის ნოემბრიდან საქართველოს ეროვნულმა ვალუტამ – ლარმა – გაუფასურება დაიწყო⁴⁰, რაც 2015-2016 წლებში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაგრძელდა⁴¹. ამ პროცესმა მიიმე მდგომარეობაში ჩააყენა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც იპოთეკური სესხი კომერციული ბანკებიდან უცხოურ ვალუტაში აქვს აღებული. მოსახლეობის ამ ჯგუფის (სულ 33 ათასი მსესხებელი) დასახმარებლად მთავრობამ სესხების გალარების პროგრამის დაწყება გადაწყვიტა⁴².

ეს პროგრამა ნებაყოფლობითია და შეეხება მხოლოდ მათ, ვისაც იპოთეკური სესხი უცხოურ ვალუტაში აქვს აღებული 2015 წლის 1 იანვრამდე და ამ დროისათვის ვისი წლიური შემოსავალიც არ აღემატებოდა 100 ათას ლარს. თანაც პროგრამა ვრცელდება იპოთეკური სესხის იმ ნაწილზე, რომელიც ასევე არ აღემატება 100 ათას ლარს. სესხების გალარება მოხდება გალარების დღეს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსს გამოკლებული 0,2 ლარი, რაც სუბსიდირებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რაც ჯამში 65 მლნ. ლარს შეადგენს⁴³. საყურადღებოა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მიაწვდის კომერციულ ბანკებს გალარებისათვის საჭირო უცხოურ ვალუტას და ლარის ლიკვიდობაშიც შეუწყობს ხელს. ხაზგასასმელია, რომ გალარების ეს პროგრამა არ ითვალისწინებს კომერციული ბანკების მიერ დამატებითი ხარჯების განეჯას.

იმისათვის, რომ იპოთეკური სესხების გალარების პროგრამამ არ გამოიწვიოს ლარის შემდგომი დევალვაცია, ეროვნული ბანკი საერთაშორისო რეზერვებიდან უცხოურ ვალუტას კომერციულ ბანკებს მიჰყიდის. პარალელის გავლების მიზნით გასახსენებელია, რომ, როგორც წესი, საქართველოს ეროვნული ბანკი დიდი სიფრთხილით ეკიდება სავალუტო რეზერვის ხარჯვას ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შესანარჩუნებლად, თუმცა ეს არ ვრცელდება იპოთეკური სესხების გალარების მოცემულ პროგრამაზე. შედეგად, ეს პროგრამა, თავის მხრივ, არ გამოიწვევს ლარის გაუფასურებას.

ხაზი იმასაც უნდა გაესვას, რომ გაუგებარია, თუ რატომ უწოდებს მთავრობა იპოთეკური სესხების გალარების პროგრამას სოციალურს⁴⁴, რადგან ეს პროგრამა სულაც არ ეხება ქვეყნის

გაჭირვებულ მოსახლეობას: უცხოურ ვალუტაში იპოთეკურ სესხს საქართველოს დაბალშემოსავლიანი მოქალაქე ვერანაირად აიღებს, მაშინ როცა ამ პროგრამის შესრულებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებული ზემოხსენებული სუბსიდიის დამფინანსებელი (გადახდილი გადასახადებით) არის მთელი ქვეყანა, მათ შორის – აშკარად მცირეხელფასიანი მოქალაქეებიც (საშემოსავლო გადასახადს საშუალოდ 900 ათასი ადამიანი იხდის).

მთავრობის შეუთანხმებელი განცხადებების და გაუაზრებელი ღონისძიებების ზეგავლენა სავალუტო ბაზარზე. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 2016 წლის ნოემბრის ბოლოს, საქართველოს პარლამენტმა „ქართული ოცნების“ ნაწილობრივ განახლებული მთავრობა (თუმცა ისევ გიორგი კვირიკაშვილის პრემიერ-მინისტრობით) დაამტკიცა⁴⁵. საყურადღებოა, რომ არც წინასაარჩევნო პარტიულ პროგრამაში⁴⁶ და არც პარლამენტში დამტკიცებულ სამთავრობო პროგრამაში⁴⁷ საერთოდ არ იყო საუბარი ზემოხსენებულ აქციზის გადასახადების ზრდაზე, საბიუჯეტო ხარჯების 10%-იან შემცირებასა თუ იპოთეკური სესხების გალარების სქემაზე⁴⁸, რაც მთავრობამ რამდენიმე დღეში გაასაჯაროვა.

სამწუხაროდ, მთავრობამ ეს ინიციატივები ისე გაასაჯაროვა, რომ ბიზნესის წარმომადგენლებთან (მათ შორის, კომერციულ ბანკებთან) არ ჰქონდა შეთანხმებული. უფრო მეტიც, როგორც გაირკვა, არც თავად მთავრობას ჰქონდა ბოლომდე გააზრებული ხსენებული ღონისძიებები. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ ონლაინსესხები საერთოდ უნდა აკრძალულიყო⁴⁹, რომელიც ორ დღეში უარყო საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა⁵⁰ და ფინანსთა მინისტრის მოადგილემაც⁵¹. საყურადღებოა, რომ ონლაინსესხებზე დაწესებული შეზღუდვები ქმნიან საფრთხეს, რომ ბიზნესის ეს სახეობა მევახშეობის ფორმით არ გადავიდეს ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორში⁵². ამ ტიპის გაუაზრებელი და შეუთანხმებელი ინიციატივების გასაჯაროვებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის სავალუტო ბაზარზე პანიკას⁵³.

საქართველოს მოსახლეობის და ეკონომიკის უცხოურ ვალუტაზე (უმთავრესად დოლარზე) დამოკიდებულების შემცირების მიზნით, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2017 წლიდან 100 ათას ლარამდე, ხოლო 2018 წლიდან 200 ათას ლარამდე სესხები მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში უნდა გაიცეს⁵⁴. ეს რეგულაცია დოლარზე ჯამურ მოთხოვნას არანაირად არ შეამცირებს, რადგან

საქართველოს კომერციულ ბანკებს, როგორც ზემოთ ითქვა, მნიშვნელოვანი ოდენობის საგარეო ვალი აქვთ დაგროვებული, ამიტომ, თუ ამ რეგულაციამდე დოლარის შემსყიდველები იყვნენ დოლარში სესხის ამლები მოქალაქეები, ამ რეგულაციის ამოქმედების შემდეგ დოლარის შემსყიდველები გახდებიან ლარში სესხების გამცემი ბანკები. შედეგად დოლარზე ჯამური მოთხოვნა არ შემცირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლარში განხორციელებული ტრანსაქციების წილი ტრანსაქციების საერთო რაოდენობაში კი გაიზრდება, მაგრამ ამით ლარის გაცვლითი კურსი უფრო სტაბილური მანცვერ გახდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის დაშლის მორიგი მცდელობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის დაშლის პირველი მცდელობა იყო 2008 წელს, როცა ბანკის შემადგენლობიდან საბანკო ზედამხედველობის სააგენტო გამოიყვანეს, თუმცა 2009 წელს სააგენტო კვლავ ეროვნულ ბანკს შეუერთდა, რითაც მას საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია დაუბრუნდა⁵⁵.

საქართველოს ეროვნული ვალუტის ზემოხსენებული გაუფასურების ფონზე 2015 წელს „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინააღმდეგ იმ მიზეზით გაილაშქრა, რომ თურმე ლარის დევალვაცია მხოლოდ მისი ბრალი იყო. ეროვნული ვალუტის დევალვაციის გაგრძელების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ გადაწყვიტა საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ბანკიდან გატანა⁵⁶.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდნენ ეს ნაბიჯი არ გადაედგა (რათა ეროვნული ბანკი არ დასუსტებულიყო)⁵⁷, პარლამენტმა მანც მინც დაამტკიცა საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილება. ამის შედეგად ჩამოყალიბდა ფორმალურად ეროვნული ბანკის სისტემაში შემავალი, თუმცა დამოუკიდებელი მმართველობის მქონე საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო⁵⁸.

მართალია, საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო ხსენებულ საკანონმდებლო ცვლილებებს⁵⁹, მაგრამ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ ვეტო დაძლია⁶⁰ და ეს საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შეიყვანა⁶¹.

მოგვიანებით საპარლამენტო ოპოზიციის დეპუტატებმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ და „თავისუფალი დემოკრატებიდან“

ერთობლივი სარჩელი შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელშიც აცხადებდნენ, რომ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შექმნა საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა⁶². საბედნიეროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციონირება შეაჩერა იმ დრომდე, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა⁶³.

საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საკითხის განხილვა იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, ხოლო ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამაც დაანება თავი ბანკის ინსტიტუციური დაკნინების ინიციატივას⁶⁴.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი ეკონომიკური პრიმიტივიზმის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითია, როცა იმის ნაცვლად, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკში შესაბამისი კანონით გათვალისწინებული საკადრო ცვლილებები გაეტარებინათ, გადაწყვიტეს ინსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე თავად ეროვნული ბანკის დასუსტება.

ეკონომიკის სამინისტროს შენობის პრივატიზაცია. „ქართული ოცნების“ მთავრობის ეკონომიკისადმი პრიმიტივისტული დამოკიდებულების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია 2015 წელს ეკონომიკის სამინისტროს შენობის პრივატიზაცია, რის შედეგადაც ეს შენობა ელექტრონულ აუქციონზე 9,45 მილიონ აშშ დოლარად ჩინურმა კომპანია „ჰუალინგმა“ იყიდა⁶⁵. ამ შენობაში კომპანია „ჰუალინგს“ სასტუმროს გახსნა აქვს გადაწყვეტილი⁶⁶.

საყურადღებოა, რომ ეკონომიკის სამინისტრო პრივატიზაციის შემდეგაც იმავე შენობაში დარჩა და კომპანია „ჰუალინგს“ ამისათვის შესაბამის ქირას უხდოდა, სანამ შენობაში ხანძარი არ გაჩნდა⁶⁷. ხანძრის გამო შენობის გამქირავებელი ჩინური კომპანიისათვის ეკონომიკის სამინისტროს მოუწია ჯარიმის გადახდა, შენობის დაცლა და ახალი შენობის დაქირავება⁶⁸...

სამინისტროების შენობების გაყიდვა იმ მიზნით, რომ ამ შენობებში სასტუმროები გახსნილიყო, ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობამ წამოიწყო⁶⁹. კერძოდ, 2007 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობა⁷⁰, ხოლო 2012 წელს იუსტიციის სამინისტროს შენობაც⁷¹ ამ მიზნით გამოიყენეს.

უმთავრესი განსხვავება სამინისტროების შენობების სასტუმროებად გადაკეთების სქემაში ის არის, რომ „ნაციონალური მოძ-

რაობის“ მთავრობა ჯერ გადანყვეტდა სამინისტროსათვის ახალი შენობის საკითხს (სოფლის მეურნეობის სამინისტრო გადაიყვანეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სხვა შენობაში, ხოლო იუსტიციის სამინისტროსათვის ჯერ აშენდა ახალი შენობა და შემდეგ დააცლევინეს ძველი) და შემდეგ იწყებდა ძველი შენობის სასტუმროდ გარდაქმნის პროექტს, „ქართული ოცნების“ მთავრობამ კი ისე გაყიდა ეკონომიკის სამინისტროს შენობა, რომ ამ სამინისტროს განთავსების საკითხი მოფიქრებულიც კი არ ჰქონდა...

საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გაყიდვა. პარლამენტში მთავრობის ნდობის მოპოვებისათვის პრემიერ-მინისტრმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მთავრობა განიხილავს სახელმწიფოს კუთვნილი „საქართველოს რკინიგზისა“ და „ნავთობის და გაზის კორპორაციის“ აქციების 25%-ის საფონდო ბირჟაზე პირველადი განთავსების (Initial Public Offering, IPO) საკითხს⁷². საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გასხვისების თემა სულაც არ არის ახალი, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობა მიიჩნევდა, რომ სტრატეგიული ობიექტები არ არსებობს და რომ რუსეთისათვის მათი მიყიდვა სულაც არ არის საქართველოსთვის საფრთხის შემცველი⁷³. თანაც ეს ხდებოდა იმ ფონზე, რომ მოსკოვს საჯაროდ ჰქონდა გაცხადებული, რომ გეგმავდა „ლიბერალური იმპერიის“ შექმნას⁷⁴, ანუ ეკონომიკური მექანიზმებით პოსტსაბჭოთა (და არა მარტო) სივრცეზე ზეგავლენის დამყარებას⁷⁵.

იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთის ტერიტორიაზე გაზსადენებსაც და რკინიგზასაც რუსეთის სახელმწიფო კომპანიები ფლობენ (გაზსადენებს – „გაზპრომი“, ხოლო რკინიგზას – კომპანია „რუსეთის რკინიგზა“, რომელმაც სომხეთის რკინიგზას სახელიც კი შეუცვალა და ამჟამად მას „სამხრეთ კავკასიის რკინიგზა“ ჰქვია, რაც ნათელი აღიარებაა იმისა, რომ მოსკოვის მიზანია კონტროლი დაამყაროს საქართველოს რკინიგზაზე და საბოლოოდ – აზერბაიჯანის რკინიგზაზეც), ამკარაა, რომ „საქართველოს რკინიგზისა“ და „ნავთობის და გაზის კორპორაციის“ აქციების თუნდაც 25%-ის გაყიდვის შემთხვევაში უმთავრესი დაინტერესებული მხარე სწორედ ეს რუსული კომპანიები იქნებიან.

სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გამო შესაძლოა ქართული აქტივების მყიდველების როლში მოგვევლინონ აზერბაიჯანული კომპანიები, რადგან ბაქო დაინტერესებულია ხელში ჩაიგდოს ერევანზე ზენოლის ახალი ეკონომიკური მექანიზმები. ამ შემთხვევაში თბილისი აუცილებლად აღმოჩნდება სომხეთ-აზერბაიჯანის

კონფლიქტში ჩათრეული, რაც ნამდვილად არ შედის საქართველოს ეროვნულ ინტერესებში.

სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნება“ აგრძელებს საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველ იმავე პოლიტიკას, რასაც ნაციონალური მოძრაობის მთავრობა მისდევდა ქვეყნის მმართველობაში ყოფნის ცხრა წლის განმავლობაში.

რუსული გაზის სომხეთში ტრანზიტის საფასური. ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს თბილისსა და მოსკოვს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, „გაზპრომის“ მიერ სომხეთისათვის საქართველოს გავლით მაგისტრალური გაზსადენით მიწოდებული გაზის ტრანზიტის საფასურად საქართველოს დარჩებოდა ამ გაზის ოდენობის 10%.

2016 წლის იანვარში „გაზპრომის“ მოთხოვნით დაიწყო მოლაპარაკება მასსა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს შორის, რომლის მიზანიც იყო გაზის ტრანზიტის საფასურის ნატურით (ანუ გაზით) გადახდის სანაცვლოდ საქართველოს მიეღო ფული, გატარებული გაზის ღირებულების 10%-ის ოდენობით⁷⁶.

„გაზპრომის“ ეს წინადადება საქართველოსათვის ეკონომიკურად აშკარად წამგებიანია. ამის ასახსნელად უნდა გავისხენოთ, რომ ჯერ კიდევ 2006 წელს „გაზპრომმა“ საქართველოსაც და სომხეთსაც განუცხადა, რომ 2007 წლიდან გაზს მიაწვდიდა გაზრდილი ტარიფით – 1 000მ³-ს 230 აშშ დოლარად, ნაცვლად 110 აშშ დოლარისა; ამასთან, „გაზპრომი“ თანახმა იყო იმ პირობით დაეტოვებინა ძველი ტარიფი, თუ მის საკუთრებაში გადავიდოდა გაზგამანაწილებელი ობიექტების ის რაოდენობა, რომლის ღირებულებაც ტოლი იქნებოდა ახალ და ძველ ტარიფს შორის სხვაობა გამრავლებული მოხმარებულ გაზზე⁷⁷. საქართველოსგან განსხვავებით, სომხეთი დათანხმდა ამ წინადადებას, რის შედეგადაც მისი გაზგამანაწილებელი სისტემა „გაზპრომის“ საკუთრებაში გადავიდა. ამის შემდეგაც, სომხეთის რუსეთთან დაახლოების ფონზე, „გაზპრომის“ მიერ სომხეთისათვის მიწოდებული ფასი განიცდიდა კლებას⁷⁸.

აშკარაა, რომ ფასთა სხვაობის გამო საქართველო სომხეთისათვის გაზის გატარებაში ფულით აღებული ტრანზიტის საფასურით ვერ იყიდის იმდენ გაზს, რაც მას რჩება ტრანზიტის საფასურის გაზით გადახდისას.

მას შემდეგ, რაც გაჩნდა ეჭვი, რომ საქართველოს მთავრობა დათანხმდებოდა „გაზპრომს“ გაზის ტრანზიტის საფასურის ფორმის შეცვლაზე, ქვეყანაში გამოითქვა მწვავე კრიტიკული მოსაზრე-

ბები⁷⁹, გაიმართა საპროტესტო აქციები⁸⁰. შედეგად, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა მიაღწია „გაზპრომთან“ შეთანხმებას, რომ 2016 წელს (ანუ ერთი წლით) შენარჩუნებულიყო ტრანზიტის საფასურის გაზით გადახდის მოქმედი სისტემა⁸¹.

2017 წლისათვის „გაზპრომსა“ და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის მოლაპარაკება გაზის ტრანზიტის საფასურის ფორმის თაობაზე კვლავ განახლდა⁸². სამწუხაროდ, ამჯერად ენერგეტიკის მინისტრი დათანხმდა „გაზპრომის“ წინადადებას⁸³.

სავარაუდოდ, ის, რომ 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მოახერხა ტრანზიტის საფასურის გაზის ფორმის შენარჩუნება, განპირობებული იყო არჩევნებით – როგორც ჩანს, თბილისმა მოსკოვს აუხსნა, რომ საპარლამენტო არჩევნების 2016 წლისათვის „ქართული ოცნების“ მოქმედი მთავრობისთვის და საპარლამენტო უმრავლესობისთვის წამგებიანი იქნებოდა ტრანზიტის საფასურის ფორმის ცვლილება და ამის ერთი წლით გადავადება ითხოვა⁸⁴.

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 2016 წლის ნოემბერში სომხეთმა განაცხადა, რომ ადგილობრივი მომხმარებლებისათვის გაზის ფასი შემცირდებოდა, რადგანაც „გაზპრომი“ 2017 წლიდან შეუმცირებდა საქართველოს გაზის ტრანზიტის საფასურს მისი ნატურალური ფორმიდან ფულად ფორმაში გადაყვანით⁸⁵. ამკარაა, რომ ეს ინფორმაცია (ანუ ის, რომ „გაზპრომი“ ელოდა თბილისისაგან ტრანზიტის საფასურის ფორმის შეცვლას და რაოდენობის შემცირებას, რის ხარჯზეც ერევანი იძლეოდა დაპირებას, რომ ადგილობრივ მომხმარებლებს გაზის ტარიფი შეუმცირდებოდათ) უნდა სცოდნოდა საქართველოს მთავრობას.

თუკი ქართული მხარე მაინც იძულებული იყო ტრანზიტის საფასური შეემცირებინა, ჯობდა ტრანზიტის საფასურის ნატურალური ფორმა არ შეეცვალა და გატარებული გაზის 10%-ის ნაცვლად უფრო ნაკლები პროცენტული ოდენობის გაზი აეღო⁸⁶.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ საქართველო მოქცეულია ახლადშექმნილი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ორი წევრს – რუსეთსა და სომხეთს – შორის, ამიტომ საფრთხე იმისა, რომ საქართველოს აიძულონ ამ კავშირში შესვლა, დიდია⁸⁷. თანაც ამჯერად თბილისმა მოსკოვს ხელში მისცა ენერგეტიკული ბერკეტიც, რადგანაც „გაზპრომს“ შეუძლია დათმობაზე წავიდეს და ტრანზიტის საფასურად აღებული თანხით (ანუ უფრო დაბალი ტარიფით) გვაყიდინოს სომხეთის მიმართულებით გაგზავნილი გაზის 10% (რაც აქამდე ტრანზიტის საფასურში გვრჩებოდა), თუკი

საქართველო გახდება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი. ხაზგასასმელია, რომ ამ უკანასკნელის არსებობის ეკონომიკურ საფუძველს სწორედ ენერგეტიკული რესურსით მიღებული შემოსავლების გადანაწილების მექანიზმი წარმოადგენს⁸⁸.

ეკონომიკური პრიმიტივიზმის მაგალითად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ საქართველოს მთავრობის ნევრებმა საქართველოსათვის ეს საზიანო გადაწყვეტილება შეაფასეს, როგორც „ოპტიმალური“⁸⁹, „მაქსიმალური“⁹⁰, ხოლო საკუთარი სისუსტით (უკეთეს შემთხვევაში) ქვეყნისათვის ეკონომიკური ზარალის მიყენება „საბაზრო პრინციპს“ დააბრალეს⁹¹.

დასკვნა

2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნების“ მთავრობისათვის საწყის ეტაპზე დამახასიათებელი იყო ეკონომიკური ოპტიმიზმის შესატყვისი ნაბიჯების გადადგმა, რომელთაგან ისტორიული მნიშვნელობისაა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა, რის საფუძველზეც საქართველოს ეკონომიკა ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს მიუერთდა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“ („საქართველო 2020“), რომლითაც მთავრობამ მიზნად დაისახა ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა. წინა ხელისუფლების მანკიერი მემკვიდრეობისაგან თავის დასაღწევად არსებით ნაბიჯს წარმოადგენდა ბიზნესის განთავისუფლება მთავრობის არაფორმალური წნეხისაგან.

სამწუხაროდ, მთავრობის მიერ გადადგმულ ამ ოპტიმისტურ ნაბიჯებს შემდგომი განვითარება არ მოჰყოლია. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ სამინისტროებს ხსენებული „საქართველო 2020-ის“ საფუძველზე შეემუშავებინათ სამოქმედო გეგმები (რასაც მთავრობის გადაწყვეტილება ითვალისწინებდა), პრემიერ-მინისტრმა საერთოდ დაივიწყა ეს კომპლექსური დოკუმენტი და ის პრიმიტიული „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმით“ ჩაანაცვლა, რომლის განხორციელებაც ქვეყანას მომხმარებლური ეკონომიკის მახინჯ მოდელს არ და ვერ შეუცვლის.

ეკონომიკური პრიმიტივიზმის ნათელი მაგალითებია ეკონომიკის სამინისტროს შენობის პრივატიზაცია, საქართველოს ეროვნული ბანკის წინააღმდეგ ინსტიტუციური ხასიათის ბრძოლა საკადრო პრობლემის არსებობის გამო, გაუაზრებელი და შეუთანხმებელი განცხადებებით სავალუტო ბაზარზე რყევების ხელშეწყობა და ა.შ.

ქართული ეკონომიკური პრიმიტივიზმის საფუძველი ეკონომიკური მეცნიერების, თანამედროვე გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის საყოველთაოდ აღიარებული ცოდნის უარყოფაში, არაპროფესიონალიზმში უნდა ვეძებოთ. არაპროფესიონალიზმია აგრეთვე მიზეზი იმ გადაწყვეტილებების მიღების (სტრატეგიული ობიექტების გასხვისება) და გატარებისა (გაზის ტრანზიტის საფასურის შემცირება), რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას უკავშირდება.

ამ ვითარებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება, ერთი მხრივ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, ხოლო მეორე მხრივ – სამოქალაქო საზოგადოებას. მათი გააქტიურება არის პრაქტიკულად ერთადერთი მექანიზმი, რითაც შესაძლებელი იქნება მეტ-ნაკლებად ქმედითი ზეწოლა მთავრობაში ეკონომიკური პრიმიტივიზმის აღმოსაფხვრელად და არაკომპეტენტური კადრების ჩასაწაცვლებლად.

ბიბლიოგრაფია

1. „პრემიერი ივანიშვილი პრეზიდენტ სააკაშვილთან თანაარსებობაზე“. Civil.Ge, 22 ნოემბერი, 2012, www.civil.ge/geo/article.php?id=26241; „ივანიშვილი თანაარსებობაზე საუბრობს“. Civil.Ge, 25 დეკემბერი, 2012, www.civil.ge/geo/article.php?id=26382.
2. „აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე საქართველოში ვიზიტს აჯამებს“. Civil.Ge, 13 დეკემბერი, 2012, www.civil.ge/geo/article.php?id=26327; „სააკაშვილი და ივანიშვილი ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისგან თბილისის მოლოდინებზე საუბრობენ“. Civil.Ge, 13 თებერვალი, 2013, www.civil.ge/geo/article.php?id=26553.
3. “Economic Optimism Index (EOI): State of the Economy 1997 – Present.” Ipsos MORI, www.ipsos-mori.com/researchpublications/researcharchive/43/Economic-Optimism-Index-EOI-State-of-the-Economy-1997-present.aspx.
4. Балацкий Е. В. «Роль оптимизма в инновационном развитии экономики». Общество и экономика, 2010, № 1.
5. Кесельман Л. Е., Мацкевич М. Г. Экономический оптимизм/пессимизм в трансформирующемся обществе, 1998. www.nir.ru/sj/sj/12kesel.htm.
6. კაკულია, მ. ეკონომიკური ზრდის შენელება საქართველოში: პოლიტიკონომიური ასპექტი. ექსპერტის აზრი, № 9. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2013, www.gfsis.org/files/library/opinion-papers/9-expert-opinion-geo.pdf.
7. პაპავა, ვ. „პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები. ექსპერტის აზრი, № 4. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2013, www.gfsis.org/files/library/opinion-papers/4-expert-opinion-geo.pdf.
8. European Union’s Agreement on Deep and Comprehensive Free Trade Area and Georgia. Tbilisi, Economic Policy Research Center (EPRC), 2014, www.osgf.ge/files/2014/publications/EU_Eng_WEB.pdf.
9. მაგალითად, Papava, V. “The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choice?” Georgian International Journal of Science and Technology, 2008, Vol. 1, Issue 1; Papava, V. “Myths about the Georgian Economy.” Democracy & Freedom Watch, October 18, 2011, www.dfwatch.net/myths-about-the-georgian-economy-11211-860.
10. მაგალითად, „სააკაშვილი: ‘საქართველო – შვეიცარია სინგაპურის ელემენტებით““. Civil.Ge, 9 მარტი, 2010, www.civil.ge/geo/article.php?id=22446; „სააკაშვილი მმართველი პარტიის ხედვაზე“. Civil.Ge, 15 ივნისი, 2010, www.civil.ge/geo/article.php?id=22857; „სააკაშვილი: ‘სინგაპური და ესტონეთი მაგალითია საქართველოსთვის““. Civil.Ge, 2 თებერვალი, 2011, www.civil.ge/geo/article.php?id=23624; Dumianski, Z. “Georgia: Singapore of the Caucasus?” Eurasia Review. News & Analysis, February 21, 2011. www.eurasiareview.com/analysis/georgia-singapore-of-the-caucasus-21022011/.

11. "EU-Georgia Association Agreement." Office of the State Minister of Georgia on European and Euro-Atlantic Integration. October, 2014, www.eu-nato.gov.ge/en/eu/association-agreement; "EU-Georgia Association Agreement Fully Enters into Force." European Commission, July 1, 2016, www.europa.eu/rapid/press-release_IP-16-2369_en.htm.
12. დე ვალი, თ. საქართველოს არჩევანი. მომავლის დაგეგმვა გაურკვეველობის პერიოდში. ვაშინგტონი, Carnegie Endowment for International Peace, 2011, გვ. 11-14, www.carnegieendowment.org/files/georgias_choices__georgian.pdf.
13. „ივანიშვილი ბიზნესმენებს შეხვდა“. Civil.Ge, 7 ოქტომბერი, 2012, www.civil.ge/geo/article.php?id=26073&search.
14. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020. თბილისი, საქართველოს მთავრობა, 2014, www.gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf.
15. იქვე, გვ. 4.
16. „დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის“ ღია კარის დღე ტექნოპარკში“. საპარტნიორო ფონდი, 30 ივნისი, 2016, www.fund.ge/geo/view_news/757.
17. „საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის – „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. თბილისი, საქართველოს მთავრობა, 17 ივნისი, 2014, www.mof.ge/images/File/saqartvelo_2020.pdf.
18. მაგალითად, Hart, K. "A Short History of Economic Anthropology." The Memory Bank, November 9, 2007, www.thememorybank.co.uk/2007/11/09/a-short-history-of-economic-anthropology/.
19. მაგალითად, Kaczynski, T. "The Truth about Primitive Life: A Critique of Anarchoprimitivism." The Anarchist Library, 2008, www.theanarchistlibrary.org/library/ted-kaczynski-the-truth-about-primitive-life-a-critique-of-anarchoprimitivism.
20. მაგალითად, Rothbard, M. N. "Freedom, Inequality, Primitivism, and the Division of Labor." Mises Daily Articles, August 9, 2008, www.mises.org/library/freedom-inequality-primitivism-and-division-labor.
21. „ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად კვირიკაშვილის მთავრობა ახალი რეფორმების გატარებას გეგმავს“. Observer Georgia, 2 თებერვალი, 2016, www.observer.com.ge/2016/02/02/ბიზნეს-გარემოს-გასაუმჯობ/.
22. „ხელისუფლებამ საგადასახადო კოდექსის პროექტზე მუშაობა დაასრულა“. Civil.Ge, 27 აგვისტო, 2004, www.civil.ge/geo/article.php?id=7502&search.
23. „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა – „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“. ქართული ოცნება, 2016, www.41.ge/program.

24. სამთავრობო პროგრამა 2016-2020 „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“. საქართველოს მთავრობა, ნოემბერი, 2016, www.gov.ge/files/68_58446_288262_programa.pdf.
25. პაპავა, ვ. „პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები, გვ. 5-8; Papava, V. “Necroeconomics of Post-Soviet Post-Industrialism and the Model of Economic Development of Georgia and Russia.” Journal of Business and Economics, 2015, Vol. 6, No. 5, pp. 978-979, www.academicstar.us/UploadFile/Picture/2015-7/20157313847837.pdf.
26. „მოგების გადასახადის რეფორმასთან დაკავშირებული ცვლილებები მიღებულია“. Civil.Ge, 14 მაისი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30307.
27. ბერიძე, გ. „ესტონური მოდელის დეტალები და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე“. Forbes Georgia, 1 თებერვალი, 2017, www.forbes.ge/news/1875/estonuri-modelis-detalebi-da-misi-gavlena-ekonomikur-zrdaze; ჩიტაია, მ. „მოგების გადასახადის რეფორმით ბიზნესმა შეიძლება წააგოს“. რეზონანსი, 30 დეკემბერი, 2016, www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=31973.
28. ხუციძე, ნ. „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნაში საფრთხეებს ხედავენ“. Civil.Ge, 18 მაისი, 2007, www.civil.ge/geo/article.php?id=15372.
29. ეს პრობლემა დეტალურადაა შესწავლილი ნაშრომში: კაკულია, მ., კაპანაძე ნ., ლომჯარია ვ. და ქურხული ლ., უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში, თბილისი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2016, www.library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13171.pdf.
30. „სააკაშვილი საქართველოს ეკონომიკის სამ ძირითად მიმართულებაზე“. Civil.Ge, 8 ნოემბერი, 2010, www.civil.ge/geo/article.php?id=23320&search.
31. მაგალითად, „ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატი პრიორიტეტებზე საუბრობს“. Civil.Ge, 24 ნოემბერი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30812.
32. „მსოფლიო ბანკის რევიზიული დირექტორი: მივესალმებით მთავრობის 4-პუნქტიან გეგმას“. iMtavroba, 1 აპრილი, 2016, www.imtavroba.ge/msoffliobankis-direqtori-mivesalmebit-mtavrobis-4-punqtian-gegmas/.
33. Papava, V. The ““Rosy” Mistakes of the IMF and World Bank in Georgia.” Problems of Economic Transition, 2009, Vol. 52, No. 7.
34. „მთავრობა ბიუჯეტის 400 მილიონი ლარით შემცირებას გეგმავს მოგების გადასახადის დაგეგმილი რეფორმის ფონზე“. Civil.Ge, 12 თებერვალი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30118.
35. „პარლამენტმა გადასახადების ზრდაზე საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა“. Civil.Ge, 16 დეკემბერი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30873.
36. „სააკაშვილმა „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ წარადგინა“. Civil.Ge, 6 ოქტომბერი, 2009, www.civil.ge/geo/article.php?id=21847; „გადასახადების რეფერენდუმით ზრდაზე საკონსტიტუციო ცვლილება დამტკიცებულია“. Civil.Ge, 15 დეკემბერი, 2010, www.civil.ge/geo/article.php?id=23467.

37. „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობა დაკომპლექტებულია“. Civil.Ge, 23 დეკემბერი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30892.
38. „კვირიკაშვილის თქმით, იანვრიდან თამბაქოზე, ავტომობილების იმპორტსა და ნავთობპროდუქტებზე აქციზი გაიზრდება“. Civil.Ge, 29 ნოემბერი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30827.
39. Balatsky, E. “Wagner’s Law, the Armeý–Rahn Curve, and the Paradox of Wealth.” Problems of Economic Transition, 2012, Vol. 54, No. 12, pp. 46-50.
40. ანგურიძე, ო., დოლონაძე, ი., ჭარაია, ვ., საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამოწვევები თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, www.analytica.tsu.ge/www/files/2015/07/საქართველოს-ეროვნული-ვალუტის-უსაფრთხოების-პრობლემა.pdf.
41. „ეროვნული ბანკი დოლარს ყიდის, თუმცა ლარი გაუფასურებას განაგრძობს“. Civil.Ge, 24 თებერვალი, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29158; „ლარი დაცემას განაგრძობს“. Civil.Ge, 25 აგვისტო, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29639; „ეროვნულმა ბანკმა ლარის მხარდასაჭერად 20 მლნ აშშ დოლარი გაყიდა“. Civil.Ge, 12 იანვარი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30036; „ლარი დოლართან მიმართებაში რეკორდულად გაუფასურდა“. Civil.Ge, 25 ნოემბერი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30816; „ლარი რეკორდულად გაუფასურებას განაგრძობს“. Civil.Ge, 13 დეკემბერი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30863; „ლარი კვლავ გაუფასურდა“. Civil.Ge, 7 იანვარი, 2017, www.civil.ge/geo/article.php?id=30922.
42. „ინფორმაცია უცხოური ვალუტით გაცემული სესხების გალარების ერთჯერადი სოციალური პროგრამის შესახებ“. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2 დეკემბერი, 2016, www.mof.ge/News/7624.
43. „2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია“. Civil.Ge, 14 დეკემბერი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30866.
44. „ინფორმაცია უცხოური ვალუტით გაცემული სესხების გალარების ერთჯერადი სოციალური პროგრამის შესახებ“.
45. „პარლამენტმა განახლებული მთავრობა დაამტკიცა“. Civil.Ge, 26 ნოემბერი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30821.
46. „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა – „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“.
47. სამთავრობო პროგრამა 2016-2020 „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“.
48. „მთავრობა იპოთეკურ სესხს 33 ათას ადამიანს დაუსუბსიდირებს“. Business Contract, 29 ნოემბერი, 2016, www.businesscontract.ge/en/article/mtavroba-ipotekur-sesxs-33-atas-adamians-dausubsidirebs/7711.
49. „გიორგი კვირიკაშვილი – ონლაინსესხების გაცემა აიკრძალება“. InterPress-News, 29 ნოემბერი, 2016, www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/408551-giorgi-kvirikashvili-onlain-seskhbis-gacema-aikrdzaleba.html?ar=A.

50. „ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოადგილე: ონლაინსესხების ბიზნესი არ იკრძალება“. iPress.ge, 2 დეკემბერი, 2016, www.ipress.ge/new/53296-mestvirishvili-onlain-seskhebis-biznesi-ar-ikrdzalebaes-kompaniebi-mikrosafinansoebad-gadaketdebian.
51. „რა რეგულაციები დაწესდება ონლაინსესხებზე“. bpn, 1 დეკემბერი, 2016, www.bpn.ge/finansebi/28981-ra-regulaciebi-datsesdeba-onlain-seskhebe.html?lang=ka-GE.
52. „მაია მელიქიძე – 400 მილიონი ერთეული ონლაინ-სესხია გაცემული, მაშინ როცა საქართველოს მოსახლეობა 3,7 მილიონია“. InterPressNews, 14 იანვარი, 2017, www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/414629-maia-meliqidze-400-milioni-ertheuli-onlain-seskhia-gacemuli-mashin-roca-saqarthvelos-mosakhleoba-37-milionia.html.
53. „ლარის მკვეთრი დაცემის ფონზე ეროვნული ბანკი ‘გაუფასურების შეჩერებას და კურსის უმოკლეს დროში უკუქცევას’ ელის“. Civil.Ge, 1 დეკემბერი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30835.
54. „გიორგი კვირიკაშვილი: 2017 წლის 1 იანვრიდან 100 ათას ლარამდე სესხები და შემდეგ წელს 200 ათას ლარამდე – გაიცემა მხოლოდ ეროვნული ვალუტი“. Guardian.ge, 29 ნოემბერი, 2016, www.guardian.ge/21095-giorgi-kvirikashvili-2017-tslis-1-ianvridan-100-athas-laramde-seskhebi-da-shemdeg-tsels-200-athas-laramde-gaicema-mkholod-erovnuli-valutith.html.
55. „ფინანსური ზედამხედველობა“. საქართველოს ეროვნული ბანკი, www.nbg.gov.ge/index.php?m=523&lng=geo.
56. „ქადაგიძე ‘ცილისმნამებლური კამპანიის’ შეწყვეტისკენ მოუწოდებს“. Civil.Ge, 5 ივნისი, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29430; „ივანიშვილი ეროვნული ბანკის შესახებ კანონში დაგეგმილ ცვლილებას მიესალმება“. Civil.Ge, 4 ივნისი, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29426.
57. „სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, EBRD და აზიის განვითარების ბანკი ეროვნული ბანკიდან საფინანსო ზედამხედველობის ჩამორთმევის წინააღმდეგ აფრთხილებენ“. Civil.Ge, 27 ივნისი, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29499.
58. „საბანკო ზედამხედველობის შესახებ ცვლილებები მესამე მოსმენით მიღებულია“. Civil.Ge, 17 ივლისი, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29563.
59. „მარგველაშვილმა საბანკო ზედამხედველობის შესახებ ცვლილებებს ვეტო დაადო“. Civil.Ge, 31 ივლისი, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29594.
60. „პრეზიდენტის ვეტო საბანკო ზედამხედველობის კანონპროექტზე დაძლეულია“. Civil.Ge, 3 სექტემბერი, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29663.
61. „საბანკო ზედამხედველობის შესახებ ახალი კანონი ამოქმედდა“. Civil.Ge, 10 სექტემბერი, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29679.
62. „საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შესახებ კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს“. Civil.Ge, 22 სექტემბერი, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29709.

63. „საკონსტიტუციო სასამართლომ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციონირება შეაჩერა“. Civil.Ge, 12 ოქტემბერი, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29766.
64. „პარლამენტმა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად კობა გვენეტაძე დაამტკიცა“. Civil.Ge, 2 მარტი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30159.
65. „ეკონომიკის სამინისტროს შენობა 9.45 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა“. Civil.Ge, 27 ივნისი, 2015, www.civil.ge/geo/article.php?id=29496.
66. მეცხვარიშვილი, ს. „ეკონომიკის სამინისტროს ყოფილ შენობაში „ჰუალინგ“ სასტუმროს მშენებლობას მომავალ წელს დაინყებს“. Business Contract, 26 სექტემბერი, 2016, www.businesscontract.ge/ka/article/ekonomikis-saministros-yofil-shenobashi-quothualingiquot-sastumros-msheneblobas-momaval-wels-daiw-yeb/6347.
67. „ეკონომიკის სამინისტროში გამთენიისას ხანძარი გაჩნდა“. News.ge, 28 მარტი, 2016, www.news.ge/ge/news/story/174868-ekonomikis-saministroshi-gamtenisisas-khandzari-gachnda.
68. „ეკონომიკის სამინისტრომ ახალი შენობა 75 000 აშშ დოლარად იქირავა“. City Institute Georgia, 3 აპრილი, 2016, www.city.kvira.ge/2016/03/04/ეკონომიკის-სამინისტრომ-ა/.
69. „არველაძე: „ჰილტონს“ საქართველოს ბაზარზე შემოსვლა სურს“. Civil.Ge, 31 ივლისი, 2007, www.civil.ge/geo/article.php?id=15808.
70. არაბიძე, მ. „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილ შენობაში სასტუმროს ახალი ინვესტორი ააშენებს“. Business Contract, 19 ნოემბერი, 2015, www.gbc.ge/index.php?m=home&newsid=84222.
71. „იუსტიციის სამინისტროს ყოფილი შენობა „რუსთავი ფროფერტიმ“ იყიდა“. News.ge, 18 იანვარი, 2012, www.news.ge/ge/news/story/1039-iusticiis-saministros-yofili-shenoba-shps-rustavi-frofertim-iyida.
72. „კვირიკაშვილი რკინიგზის, ასევე ნავთობისა და გაზის კორპორაციის აქციების შესაძლო IPO-ზე საუბრობს“. Civil.Ge, 26 ნოემბერი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30819.
73. Papava, V. “Anatomical Pathology of Georgia’s Rose Revolution.” Current Politics and Economics of the Caucasus Region, 2009, Vol. 2, Iss. 1, pp. 6-8; Papava, V. “Georgia’s Economy: Post-Revolutionary Development and Post-War Difficulties.” Central Asian Survey, 2009, Vol. 28, No. 2, p. 204.
74. Чубайс, А. «Миссия России в XXI веке». Независимая газета, 1 октября, 2003, www.ng.ru/ideas/2003-10-01/1_mission.html; Torbakov, I. “Russian Policymakers Air Notion of ‘Liberal Empire’ in Caucasus, Central Asia.” Eurasia Insight. Eurasianet, 27 October, 2003, www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav102703.shtml.
75. Papava, V. and Starr, F. S. “Russia’s Economic Imperialism.” Project Syndicate, January 17, 2006, www.project-syndicate.org/commentary/russia-s-economic-imperialism?barrier=accessreg.

76. „ენერგეტიკის მინისტრი „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების შესახებ“. Civil.Ge, 12 იანვარი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30035.
77. მაგალითად, Socor, V. "Gazprom's 'Pure Commerce' in Georgia." Eurasia Daily Monitor, Vol., 3, Iss. 2018, 9 November, 2006, www.jamestown.org/program/gazproms-pure-commerce-in-georgia/.
78. "Gas Price Reduced as Armenia Joins Customs Union." Asbarez, October 8, 2013, www.asbarez.com/114797/gas-price-reduced-as-armenia-joins-customs-union/; "Gazprom: Gas Price for Armenia to be Reduced to \$165 per 1,000 Cubic Meters." Verelq, News and Analysis, April 25, 2015, www.verelq.am/en/node/1132; "Armenian President, Gazprom Chief Discuss Possible Gas Price Cut." Aravot.am, October 15, 2016, www.en.aravot.am/2016/10/25/182750/.
79. ბენდელიანი, კ. „თუ საქართველო „გაზპრომის“ წინადადებებს დათანხმდება, ეს არ იქნება შეცდომა, ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა და დანაშაული“. InterPressNews, 14 იანვარი, 2016, www.interpressnews.ge/ge/eqskluzivi/361956-thu-saqarthvelo-qgazpromisq-tsinadadebebs-dathankhmdeba-es-ar-iqneba-shecdoma-es-iqneba-dzalian-didi-shecdoma-da-danashauli.html?ar=A.
80. „საპროტესტო აქცია „არა გაზპრომს“ თბილისში გაიმართა“. Civil.Ge, 18 იანვარი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30047.
81. „კალაძის თქმით, საქართველო „გაზპრომთან“ გაზის ტრანზიტის არსებულ პირობებს შეინარჩუნებს“. Civil.Ge, 7 მარტი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30169.
82. „ენერგეტიკის მინისტრი „გაზპრომ-ექსპორტთან“ მოლაპარაკებების შესახებ“. Civil.Ge, 15 დეკემბერი, 2016, www.civil.ge/geo/article.php?id=30869.
83. „კალაძე: „გაზპრომთან“ სატრანზიტო ხელშეკრულება შეცვლილი პირობებით გაფორმდება“. Civil.Ge, 11 იანვარი, 2017, www.civil.ge/geo/article.php?id=30936.
84. ბენდელიანი, კ. „თუ ქვეყნის პატრიოტი და თავმოყვარე პოლიტიკოსი და მთავრობა სამშობლოს ინტერესების დაცვას ვერ ახერხებს, თანამდებობიდან უნდა გადადგეს“. InterPressNews, 11 იანვარი, 2017, www.interpressnews.ge/ge/eqskluzivi/414292-thu-qveyinis-patrioti-da-thavmoyvare-politikosi-da-mthavrob-samshoblos-interesebis-dacvas-ver-akherkhebs-thanamdebobidan-unda-gadadges.html.
85. "Armenia Cuts Gas Price Again." Natural Gas World, November 7, 2016, www.naturalgasworld.com/armenia-cuts-gas-price-again-34312.
86. ჯიბუტი, მ. „სოლოკრათის 100 დღე და ათასი უბედურება!“. Iverioni, საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო, 12 იანვარი, 2017, www.iverioni.com.ge/16312-mikheil-jibuti-solokratiis-100-dghe-da-athasi-ubedureba.html.
87. პაპავა, ვ. საქართველოს არჩევანი: ევროკავშირი თუ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი. ექსპერტის აზრი, № 57. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2016, www.gfsis.org/files/library/opinion-papers/57-expert-opinion-geo.pdf.

88. Кнобель, А. «Евразийский экономический союз: перспективы развития и возможные препятствия». Вопросы экономики, 2015, № 3, с. 89.
89. „კალაძე: „გაზპრომთან“ სატრანზიტო ხელშეკრულება შეცვლილი პირობებით გაფორმდება“.
90. „დიმიტრი ქუმსიშვილი: „გაზპრომთან“ მიღწეული შეთანხმება არის მაქსიმუმი, რაც ამ პირობებში შესაძლებელი იყო“. რეპორტიორი, 11 იანვარი, 2017, www.reportiori.ge/inside.php?menuid=3&id=35214.
91. „გიორგი გახარია – თუ ტრანზიტის საფასურად, პროცენტის ალების შემთხვევაში, ჩვენ დაახლოებით 200 მლნ მ³ გაზს ვიღებდით, დღეს ასეთი ვალდებულება არ გვაქვს“. InterPressNews, 12 იანვარი, 2017, www.interpressnews.ge/ge/politika/414386-giorgi-gakharia-thu-tranzitis-safasurad-procentis-aghebis-hemthkhvevashi-chven-daakhloebith-200-mln-m3-gazs-vighebdith-dghes-asethivaldebuleba-ar-gvaqvs.html?ar=A.